მთავარი ორთაბრძოლები წინ არის

მოსკოვი. “ტორპედოს” სტადიონი. 2 ივლისი.

“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

“ტორპედო”: ზარაპინი, პრიგოდა, ჟუპიკოვი, კაპაევი (ვანიუშკინი), მირონოვი, პეტრენკო, ფილატოვი, ხლოპოტნოვი, იურინი, იაკოვლევი (სახაროვი), ხრაბროსტინი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე (ჩელებაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, კოპალეიშვილი (ბაზაზაშვილი), გ. მაჩაიძე, შენგელია.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო–ფრანკოვსკი).

გაფრთხილებულია მირონოვი.

დუბლიორები – 0:1 (გოლი გაიტანა ბაზაზაშვილმა).

ნებისმიერი გუნდის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა შექმნილი სიტუაცია თვითონ გკარნახობს პირობებს, ნებით თუ უნებლიედ აგარჩევინებს ამ და არა სხვა გზას.

“ტორპედოსთან” მატჩის წინ თბილისის “დინამოს” მაინცდამაინც დიდი ტაქტიკური არჩევანი არ ჰქონია მოთამაშეთა მხრივ. გუნდს აკლდნენ ყიფიანი, გუცაევი, კოსტავა და დარასელია. ფაქტიურად გუნდის განკარგულებაში აღარ იყო ის ძალა, ურომლისოდაც, თქმა არ უნდა, სიმძაფრეს დაკარგავდა თბილისელთა შეტევები. ამასთან, ბევრად გაუიოლდებოდა ამოცანა “ტორპედოს” დაცვას. იყო მეორე მომენტიც – ფრე ამ მატჩში სავსებით ხელს აძლევდა თბილისელებს. მართალია, მოგებაზე ფიქრი და თამაში ყოველთვის მაცთუნებელია, ორი ქულაც ბევრად სჯობს ერთს, მაგრამ როცა საამისო საფუძველი არ ჩანს, რომანტიკა გვერდზე უნდა გადადო და იმისთვის იზრუნო, რაც ხელსაყრელია და შესაძლებელი. ფრე კი გუშინწინდელ მატჩში, არც ურიგო იყო და არც ძნელად მისაღწევი. ეს მატჩის მსვლელობამაც დაადასტურა.

აი, ამ მიზნის განსახორციელებლად “დინამომ” მინდვრის შუაგულში ხუთ ფეხბურთელს მოუყარა თავი. ქორიძე, ჩივაძე და მ. მაჩაიძე ცენტრში განლაგდნენ: მანუჩარი – ოდნავ წინ, ქორიძე – ხინჩაგაშვილთან და კანთელაძესთან ახლოს, გ. მაჩაიძე და კოპალეიშვილი – ფლანგებზე. თუმცაღა, ეს სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ “დინამო” თავის ნაჭუჭში ჩაიკეტებოდა და მხოლოდ ქულის გადარჩენაზე იფიქრებდა. თბილისელებმა, – ასე ვთქვათ, უფრო შემოქმედებითად გადაჭრეს ეს საკითხი – შეანელეს ტემპი და თამაში გადაიტანეს მინდვრის შუაგულში, სწორედ იქ, სადაც მათი ძირითადი ძალები იყო თავმოყრილი. და მეორეც – როგორც კი გაირკვა, რომ ავტოქარხნელებს არ ძალუძთ გეგმაზომიერი იერიშის მიტანა გოგიას კარზე, ქორიძემ თავის სანახევროდ მცველის ფუნქციებზე ხელი აიღო და გააქტიურდა.

როცა შეხვედრის შემდეგ ჩანაწერს გადავავლე თვალი, აღმოჩნდა, რომ “ტორპედომ” ასე თუ ისე სერიოზულად მხოლოდ 23–ე წუთზე მოსინჯა თბილისელთა კარი. ხრაბროსტინის დარტყმა არაზუსტი გამოდგა. მეორე ანგარიშგასაწევი მუქარა კი მე–60 წუთზე მოდის. სახაროვის დარტყმა, თუმცა ოდნავ, მაგრამ მაინც ასცდა გოგიას კარს. ეს იყო და ეს. მასპინძელთა სწრაფვა გამარჯვებისკენ 69–ე წუთამდე მხოლოდ ამ ორი მომენტით გამოიხატა.

მართალია, თბილისელები უფრო სახიფათოდ უტევენ (განსაკუთრებით II ტაიმის დასაწყისში), ზარაპინსაც უფრო ხშირად უხდება ოსტატობის ჩვენება, მაგრამ იმის თქმა, რომ სტუმრები უფრო ახლოს იყვნენ წარმატებასთან, სწორი არ იქნებოდა

თუნდაც იმიტომ, რომ “დინამოს” შეტევის მახვილი ვერა და ვერ ამოქმედდა – სათანადო მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი შენგელია, ბუნებრივია, მარტო ვერაფერს მოუხერხებდა ტორპედოელთა მცველებს. თუმცა ეს თბილისელთა ძირითადი გეგმით არც იყო გათვალისწინებული და, კაცმა რომ თქვას, ვერც მოხერხდებოდა.

შეიძლება თქვან: რა აზრი ჰქონდა ასეთ გეგმას, თუ მაინც დავმარცხდებოდითო. მატჩის შემდეგ, როცა ოქმმა უკვე აღნუსხა თბილისელთა მარცხი, მართლაც შეიძლებოდა რაღაც ამის მაგვარი ეფიქრა კაცს, მაგრამ მხოლოდ მატჩის შემდეგ. ისე კი, შესაძლებელი რომ იყოს ამ ორთაბრძოლის ხელმეორედ გამართვა, დარწმუნებული ვარ, გუნდი იმავე ტაქტიკას აირჩევდა და სწორედაც მოიქცეოდა.

69–ე წუთი. უმეთვალყურეოდ მიტოვებულ თბილისელთა დაცვას მარცხენა ზონიდან ჩამოწოდებულ ბურთს ზუსტი მისამართი მოუძებნა ხრაბროსტინმა. “დინამომ” ორი თავდამსხმელი ჩართო თამაშში, მაგრამ ეს უფრო მოვალეობის მოხდას ჰგავდა – ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მთელი მატჩისთვის მოხმობილ ტონალობას გუნდი ხელის ერთი დაკვრით გამოცვლიდა. ვერც გამოცვალა და ვერც ვერავის გავამტყუნებთ. კარგი იყო გამარჯვება, არც ფრე იქნებოდა ურიგო, მაგრამ ნურც დამარცხება დაგვაღონებს – მთავარი ორთაბრძოლები წინ არის.

ი. ბერიაშვილი.
“ლელო”, 4 ივლისი, 1978 წ.